საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჩნაძე ნათელა ზაქარიას ასული

ვაჩნაძე ნათელა ზაქარიას ასული (1. V. 1940, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1993). 1962 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1963–2006 პედ. და სამეცნ. მუშაობას ეწეოდა თსუ-ის შუა საუკუნეებისა და საქართვ. ისტ. კათედრებზე. ვ. არის საქართვ. ბიზანტიოლოგთა ეროვნ. კომიტეტის დამფუძნებელი (კოპენჰაგენი, 1996) და უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი, საქართვ. ისტორიკოსთა ეროვნ. კომიტეტის წევრი (1997), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის საქართვ. ისტორიის და საქართვ. ისტ. წყაროების კომისიების წევრი, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი. ვ-ის კვლევის საგანია: შუა საუკუნეების ქართ. საზ-ბის მენტალიტეტი, ქართ. და ბერძნ. ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ქრისტ. სიმბოლიკა, ქართ.-ბიზანტ. ურთიერთობები, წარმართული სააზროვნო სისტემის რელიქტები, საქართვ. და რუს. მუზეუმებისა და წიგნსაცავების ისტორია (XX ს. II ნახ.), ძვ. ქართ. ჰაგიოგრაფიული თხზულებების რუს. ენაზე თარგმნა და კომენტირე-ბა, „ქართლის ცხოვრების" სახისმეტყველება, ბერძნ. ეპისტოლოგრაფია. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 5 მონოგრაფიის ავტორი, თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის „შრომების" სერიის შემდგენელი, საქართვ. ისტ. პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს (ტომი I) თანაავტორი. მისი სამეცნ. ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართ., გერმ., ინგლ. და ფრანგ. ენებზე.

თხზ.: სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975; სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V–X სს.), თბ., 1998; Житие и мученичество святого мученика Костанти Грузина, который был замучен царём вавилонян Джафаром. Перевод с древнегрузинского, исследование и комментарий Н. З. Вачнадзе и К. К. Куция, Тб., 1978; Д. И. Арсенишвили. Эскизы к творческому портрету, Тб., 1990.

ლიტ.: სამეცნიერო პარადიგმები. კრებული ეძღვნება პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს, თბ., 2009.